ცნობის ფურცელი

№ 2574 ოთხშაბათი, 4 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2574

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ალექსანდრა დავითის ასული, ალათი და ბარბარე დავითის ასულნი და ერისტო დავითის ძე ბახტაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ქმრისას და დანარჩენნი ძმისა

რომანოზ დავითის-ძის ბახტაძისას.

დაკრძალვენ დ. ხონში 5 აგვისტოს დილის 9 საათზე. (2—1)

კვირას, 8 აგვისტოს, დ. ახალ-სენაკში, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის

ნინო ივანეს ასულის ყრუაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე პლატონ ბესარიონის ძე ყრუაშვილი და მისი დედ-მამა ბესარიონი და ალათი ყრუაშვილები. (ნ. 1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

შ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. ვ. ხობოლევსკი.—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშობი, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საზებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ა. ვ. ხობოლევსკი.—ქირურგია და ორთოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით, კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ისყიდება
სადალაქო თავის მოწყობილობით, ჩემის ძმის უდროოდ გარდაცვალების გამო. მიჰმართეთ ოლგინის ქ. № 16.
(3—3) ალ. ბარბაკაძე.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს შეშის იჯარა აიღოს. შეშა ქალაქის გამგეობისა და იმის ხელქვეით დაწესებულებათათვის არის საჭირო. იჯარის მსურველი უნდა მივიდეს საჯარო ვაჭრობაზე გამგეობაში 5 აგვისტოს, დილის 11 საათზე. (3—ნ.—2).

გამოვიდა ახალი
კატალოგი
„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნის მაღაზიისა.
მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ უფასოდ ქართულ წიგნის მაღაზიებში. (3—უ—3)

უმაღლესი მანიფესტი

2 აგვისტოს გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი მანიფესტი:

„წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა. გზრუნავთ-რა შეურყევლად უზენაესს განგების მიერ ჩვენდამო რწმუნებულ სახელმწიფოს მშვიდობიანობისა და კეთილ-დღეობის დაცვისა და დამკვიდრებისათვის, ჩვენ დაუვიწყარ წინაპართა, კეთილ-სახსოვარ იმპერატორთა — ნიკოლოზ I-სა, ალექსანდრე მე-II-სა და ალექსანდრე მე-III-ის —მაგალითის მიხედვით, წმიდა მოვალეობად გვცანით, მავიდოთ ღონისძიებანი განსაკუთრებულ შემთხვევებისათვის, ამიტომ მავიდეთ რა მხედველობაში ჩვენის მემკვიდრის ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსეი ნიკოლოზის ძის მცირე-წლოვანება, დავადგინეთ, თანახმად იმპერიის ძირითად კანონებისა და საიმპერატორო ოჯახის წესებისა, საყოველთაოდ გამოვაცხადოთ შემდეგი: 1-ლი: იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენ გარდავიცვალეთ იმ დრომდე, სანამ უსაყვარლესი ჩვენი ძე და მემკვიდრე კანონებით იმპერატორობისათვის დანიშნულ სრულ-წლოვანებას მიაღწევდეს, სახელმწიფოსა და მასთან განუყოფელ პოლონეთის სამეფოს და ფინლიანდიის დიდ სამთავროს მმართველად მემკვიდრის სრულ-წლოვანობამდის ინიშნება უსაყვარლესი ძმა ჩვენი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე; მე-2: აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენის პირმშოსა და დანარჩენ შვილებისათვის მზრუნველობა, მათ სრულ-წლოვანებამდე, ევალება ჩვენს უსაყვარლესს მეუღლეს, ხელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს. ამ ჩვენი სურვილის გამოცხადებით იმას შესახებ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ჩვენის მემკვიდრის მცირე-წლოვანობის დროს, ჩვენ სასოებით პატივი ვცეთ სახელმწიფოს კანონებს, მოვიშორეთ ყოველივე ეჭვი ამ საგნის შესახებ და ვევედრებით უზენაესს, რათა შეგვეწიოს განუწყვეტელ მზრუნველობაში ღვთის მიერ ჩვენდამი ბოძებულ სახელმწიფოს კეთილ-დღეობისა, ძლიერებისა და ბედნიერებისათვის. ბოძებულია პეტერგოფს, აგვისტოს პირველსა დღესა, ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას ოთხსა, ხოლო მეფობისა ჩვენისა მეათესა წელსა".

ნამდვილზე მის იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზ".

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აგვისტო

შანხაი. („რეიტ. სააგენტო"). რუსეთის ოთხის სამხედრო გემის სედლის კუნძულების სრუტეში გაჩერებამ დიდი მღელვარება გამოიწვია. გემმა „გროზოვოი"-მ ვერ მოახერხა ცინდაოში შესვლა, რადგან იაპონელებმა გზა გადაუღობეს, და შუადღისას მდინარეში შევიდა. გემი „ასკოლდი", რომელზედაც კონტრ-ადმირალი უხტომსკი იყო, ნაშუადღევს მოვიდა ვუზუნში დაზიანებული. ლოცმანები ამბობენ, რუსის სამი კრეისერი სედლის კუნძულებთან მიელიან ინგლისის გემებს, რომლებმაც ცინდაოდან ნახშირი უნდა მიუტანონო. იაპონელთა ერთი ჯავშნიანი გემი, ორი კრესერი და ოთხი კონტრ-ნაღმიანი გემი მდინარის შესართავში იცდიან, რათა ხელში ჩაიგდონ ნახშირით დატვირთული გემები. იაპონიის კონსული დაჟინებით სთხოვს ტაოტაის იარაღი აიყრევინოს „ასკოლდ"-სა და „გროზოვოი"-ს. ჯერ არ იციან, რა გადაწყვეტილებას დაადგა ტაოტაი. იაპონელთა სავაჭრო გემების მიმოსვლა ჯერ-ჯერობით შეწყვეტილია. რუსის კრეისერებმა, რომელთაც ცინდაოში მისვლაც წინად გვაუწყეს, წაიღეს ნახშირი და გზას გაუდგნენ. ნაშუადღევის 2 საათზე შესრულდა 48 საათი, „გროზოვოი"-კი ისევ შეიარაღებული სდგას. ტაოტაიმ ხელახლად უბრძანა „გროზოვოი"-ს უფროსს, ან წაიყვანოს გემი ან იარაღი ჩააბაროს. რუსები ალბად, იარაღს აიყრიან. „ასკოლდ"-ზე დაჭრილები შანხაის საქალაქო საავადმყოფოში გადაიტანეს. გემის შეკეთება ენერგიულად სწარმოებს. ჯერ არ იციან, სად არის გემი საავადმყოფო „მონგოლია".

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). საადმირალო აცხადებს ცნობას „რეშიტელნი"-ს შესახებ: ლეიტენანტი ტერაშიმა დარწმუნდა, რომ „რეშიტელნი" შეიარაღებული სდგას; რუსის გემის უფროსთან ლაპარაკის დროს გაიგონა, რომ უკანასკნელმა ბრძანება გასცა გემის აფეთქების შესახებ; ამავე დროს უფროსმა ხელი სტაცა ტერაშიმას და გემიდან გადააგდო. იფეთქა წამლის საწყობმა და 2 იაპონელი მოკლულ იქნა.

ლონდონი. („რეიტ. სააგ."). ცინდაოდან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ თავი მოიყარეს გერმანიის კრეისერებმა „გერტა"-მ და „განზა"-მ და ბევრმა საკანონერო ნავმა. ერთი კრეისერი „ცესარევიჩ"-ის წინ სდგას და მზად არის შეებრძოლოს იაპონელებს, თუ ესენი რუსების გემს თავს დაესხმიან.

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). თუმცა გემი „მიკაზა" სხვა გემებზე უფრო დაზიანდა, მაინც ბრძოლის ველზე დარჩა. გემები „იაშიმა", „ნისსინ"-ი და „კასუგა" დროებით შეკეთებულ იქნენ და სამსახურისათვის მზად არიან. —სასებოში მოიყვანეს ტოგოს ესკადრიდან 77 დაჭრილი. მათ შორის 11 აფიცერია. პრინცი ხიროიასუ-კვაშუ მსუბუქადაა დაჭრილი.—გემმა „გაელიკმა" დაინახა გუშინ, რომ კრეისერი „ნოვიკ"-ი აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მიდიოდა ვანდიმენის სრუტესაკენ.

ჩიფუ. „რეიტერის სააგენტო" იუწყება, რომ დილის ოთხს საათზე დაიწყო საერთო იერიში პორტ-არტურისათ.—ცინდაოდან იუწყებიან, რომ გერმანიის გუბერნატორის თანადასწრებით ჯავშნიანმა გემმა „ცესარევიჩმა" დროშა ჩამოუშვა.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 31 ივლისს: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იაპონელებმა 26 ივლისს, ღამე, 15 საათის ბრძოლის შემდეგ, დიდძალის ჯარით იერიში მიიტანეს დაგუშანსა და სიაოგუშანზე. ამას გარდა 26 ივლისს დილიდან დაწყებული საღამოს 9 საათამდე იაპონელები ზარბაზნებით ესროდნენ რუსების სიმაგრეებს. დაგუშანისა და სიაოგუშანის აღების შემდეგ იაპონელები წინ აღარ წაწეულან, მხოლოდ 27 ივლისს, ღამე, დიდ წვიმის დროს იერიში მიიტანეს აღმოსავლეთის ფრონტზე, მაგრამ ყველგან უკუგდებულ იქმნენ. ამავე დროს იაპონელებმა იერიში მიიტანეს სხვა ადგილებზედაც მგლის გორიდან დაწყებული დაგუშანამდე. აქაც უკუგდებულ იქმნენ. მეოთხე დღეა იაპონელები ყუმბარებს უშენენ ციხეს.

ტოკიო. („ვოლფ. სააგენტო"). მოვიდა სხვა-და-სხვა მოხსენება იაპონელების მიერ ჩიფუში რუსის კონტრ-ნაღმიან გემის შეპყრობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებებიდანა სჩანს, საქმე ასე მომხდარა: 28 ივლისს, ღამე, იაპონიის კონტრ-ნაღმიანი გემები რუსის გაფანტულ ესკადრას დაეძებნენ. ამ დროს შენიშნეს ნაღმიანი გემი, უთუოდ რუსეთისა, რომელიც სწრაფად მისცურავდა დასავლეთისკენ. იაპონელები იმ წამსვე დაედევნენ, მაგრამ ნაღმიანი გემი სიბნელეში დაიმალა. იაპონელებმა დილამდე განაგრძეს ძებნა და აღმოაჩინეს, რომ მტრის კონტრ-ნაღმიან გემს ჩიფუში შეუფარებია თავი. საღამომდე იაპონელები ნავთ-სადგურს გარედ იცდიდნენ და ელოდნენ რუსის გემის გამოსვლას. მაგრამ გემი არ გამოვიდა. შემდეგ იაპონიის ნაღმიანი გემები ჩიფუში შევიდნენ და დაინახეს, იქ რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი „რეშიტელნი". რადგან გემს იარაღი აყრილი არა ჰქონდა, იაპონელებმა ლეიტენანტი ტერაშიმა გაგზავნეს ამ გემზე, რათა წინადადება მიეცა რუსებისთვის, ან გათენებამდის გასულიყვნენ ნავთ-სადგურიდან ან არა და დამორჩილებოდნენ. „რეშიტელნი"-ს უფროსმა არც ერთი ეს წინადადება არ მიიღო და მოლაპარაკების დროს უბრძანა თავის მეზღვაურთ, გაენადგურებინათ მანქანები და სროლა დაეწყოთ. შემდეგ მოულოდნელად სტაცა ხელი ტერაშიმას და იმასთან ერთად გემიდან წყალში გადავარდა. მეორე რუსმა ხელი სტაცა იაპონელ თარჯიმანს და იმასთან ერთად ისიც წყალში გადავარდა. შემდეგ რუსის დანარჩენმა მეზღვაურებმა ბრძოლა დაიწყეს. ამ დროს აფეთქდა „რეშიტელნი"-ზე წამლის საწყობი. აფეთქების დროს იაპონელები დაზარალდნენ. ბოლოს იაპონელებმა შეიპყრეს „რეშიტელნი" და ნავთ-სადგურიდან წაიყვანეს. იაპონელების მხრივ მოკლულ იქმნა ერთი, დაჭრილ 14 კაცი.

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). „ტაკეშიკი"-ს დეპეშის თანახმად, კუნძულ ცუსიმასთან კორეის ნაპირის მახლობლად, ულსანიდან 20 მილის მანძილზე, პირველ აგვისტოს, დილის 5 საათზე, კამიმურას ესკადრა შეხვდა ვლადივოსტოკის ესკადრას. ბრძოლის დროს რუსის კრეისერებს, „როსია"-სა და „გრომობოი"-ზე რამდენჯერმე გაჩნდა ცეცხლი. ორივე გემი თვალსაჩინოდ დაზარალდა. იაპონელების ერთი გემი დაზარალდა რუსების ყუმბარისაგან. ამ გემზე 2 მოკლულია და 3 დაჭრილი.

ჩიფუ („რეიტ. სააგ."). ელიოტის კუნძულების მახლობლად ნახეს „რეშიტელნი", რომელზედაც იაპონიის დროშა იყო აფრიალებული და რომელიც იაპონიის კონტრ-ნაღმიან გემს ბუქსირით მიჰყავდა. ამ გემს მეორე გემიც ახლდა.—იაპონიის კონსულმა განაცხადა, იაპონიას სრულიადაც არა აქვს აზრად დაუბრუნოს რუსეთს კონტრ-ნაღმიანი გემი.—როგორც სჩანს ჯავშნიან გემს „ცესარევიჩს" დიდი წინააღმდეგობა გაუწევია იაპონელებისათვის. ამ გემს შემოხვევია იაპონიის 4 ჯავშნიანი გემი და 2 კრეისერი. მთელი ერთი საათის განმავლობაში „ცესარევიჩი" ნამდვილ ცეცხლში იყო [illegible]. ყუმბარა, რომელმაც ადმირალი ვიტგეფტი მოკლა, პირველად ზარბაზნის კოშკს მოხვედრია.

3 აგვისტო.

ტოკიო. (ბერლინში მიღებული). ამ უკანასკნელ დღეებში პორტ-არტურთან მეტად ცხარე ბრძოლაა. იაპონელებმა აიღეს სამი ბატარეა და ზედ ციხესთან მივიდნენ. ორსავე მებრძოლთ დიდი ზარალი [illegible]

შემდეგ იაპონელებმა ზარბაზნების სროლა დაიწყეს ლანშანის გორიდან. ეს გორა ზევიდან დაჰყურებს რუსის ბატარეებს და ფლოტის სადგომს.

ლიაოიანი. (ბერლინში მიღებული). „ბერლინელ ლოკალანცეიგერ“-ის ცნობებით, ქალები და ბავშვები ლიაოიანიდან მიდიან. ვაჭრები დუქნებსა კეტავენ. ეშინიანთ, რუსის ჯარი ლიაოიანიდანაც არ წავიდეს. გაზეთის კორესპონდენტს ეს შიში უსაფუძვლოდ მიაჩნია. ეს კორესპონდენტი ქალაქშივე რჩება. ზოგიერთი სასანიტარო დაწესებულებანი ჩრდილოეთისაკენ გადააქვთ.

ბერლინი. როდესაც გამოირკვა, რომ ცინდაოში შესულ რუსის გემებს არ შეუძლიანთ ზღვაში გასვლა, დადებულ ვადაზე ბრძანება მოვიდა, ამ გემებს იარაღი აეყაროსო.

მუკდენი. (სააგ. საკუთ. კორესპ.). მიღებულ ცნობებით, პირველ აგვისტოს იაპონელებმა იერიში მიიტანეს პორტ-არტურზე. მტერი ყველა პოზიციიდან უკუგდებულ იქმნა. ზარალი დიდი მოუვიდათ. რუსის ჯარს ხელმძღვანელობდა მამაცი გენერალი სტესელი. ჯარი კარგ გუნებაზეა. სურსათი და საომარი მასალა ციხეში საკმაოა. ჯარი დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ პეტერბურგიდან: გენ. კუროპატკინის თხოვნით, რუსეთის სამხედრო მინისტრმა 16 სამთო ბატარეია ან 6 არტილერიის პარკი გაგზავნა საუკეთესო მასალითაო.

იმავე გაზეთებს ატყობინებენ: რუსეთის საზღვაო შტაბის აფიცრები ირწმუნებიან, ბალტიის ესკადრა 20 დღის შემდეგ წავა შორეულ აღმოსავლეთსაო. თუ მანამდე იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, ადმირალი როჟდესტვენსკი ბალტიის ესკადრას ვლადივოსტოკში წაიყვანსო („ნ. დ.“).

იაპონური გაზ. „მანჩოოხო“ სწერს, იაპონიას სრულებით არ ეშინიან ბალტიის ესკადრისაო. („რ.“).

ფრანგულ გაზ. „ტანს“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: ჰფიქრობენ, რუსის ჯარი ჩრდილოეთისაკენ დაიხევს და ტელინთან დადგებაო. ტელინი 70 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს მუკდენიდან, რკინის გზის პირას. („რ. ლ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: პორტ-არტურიდან გამოქცეულმა რუსებმა ჩიფუში ამბავი მოიტანეს, 17 ივლისს პორტ-არტურს ახლო რუსის პირველ რანგის კრეისერი „ბაიან“-ი ნაღმს მოჰხვდა და დაზიანდაო. („ნ. დ.“).

ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ის თანამშრომელს ნიცაში (საფრანგეთი) იაპონიაში ტყვედ ნამყოფი რუსის სალდათი უნახავს. რუსის სალდათს უამბნია კორესპონდენტისთვის: იაპონელები კარგად ექცევიან ტყვე რუსებს და კარგ პირის პატივს აძლევენ, არც ამუშავებენო. ყველა იაპონელ სალდათს კარტა აქვსო; სამსახურ გარედ იაპონელი აფიცერი მეგობრულად ექცევა სალდათს. იაპონელების ზარბაზანს სამი ცხენი ერევაო. („ნ. დ.“).

ერთს იაპონელ დიპლომატს უთქვამს „ინდაპანდანს ბელჟ“-ის კორესპონდენტისათვის: ფრანგული პრესა მეტად უდგება რუსებს. იაპონელების გამარჯვებას არად ატარებს და გენ. კუროპატკინის ნიჭს მეტად აზვიადებსო. ბოლოს დიპლომატს უთქვამს: სანამდე რუსეთი შესძლებს ომს, იაპონიაც შესძლებსო. უფულობისა იაპონიას არ ეშინიანო. („რ. ს.“).

ლონდონში ჩინელები მივიდნენ და ილაპარაკეს, იაპონიის ჯარის გამარჯვებამ ფეხზე დააყენა მთელი ჩინეთიო. ჩინელებიც გუნებაზე მოვიდნენ და უნდათ, რომ იაპონელებს მიჰბაძონო. მეფის მოადგილეებმა თხოვნა მიართვეს დედოფალს, ჩინეთის ჯარი იაპონიის ჯარის მსგავსად მოვაწყოთო. იაპონურ სახელმძღვანელოებს ჩინელები ათასობით სთარგმნიან და ხალხს ურიგებენ. ქვრივ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, ჩინეთში დიდი ცვლილება მოხდებაო. („რ. ლ.“).

პორტ-არტური. იაპონელები რკინის რგოლივით შემოერტყნენ პორტ-არტურს და დღე და დღე უახლოვდებიან ციხეს; მაღალ გორებზე დიდი ზარბაზნები დადგეს და ქალაქსა და ნავთსადგურს სეტყვასავით აყრიან ყუმბარებს. („რ. ს.“).

იტალიის საზღვაო სამინისტროს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: 23 და 26 ივლისს იაპონელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს პორტ-არტურსაო.

„დეილი მეილ“-ი იუწყება: შანჰაიგუანში 28 ივლისს რაღაც საშინელი ხმა მოისმა; ჰაერი შეინძრა, სახლებმა ზანზარი დაიწყეს და ფანჯრის შუშები დაიმსხვრა. ჰფიქრობენ, იაპონელებმა პორტ-არტურთან რომელიმე პოზიცია ააფეთქეს და ეს ხმა იქიდან მოვიდაო.

ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: პორტ-არტურიდან ერთი რუსი მოვიდა და ილაპარაკა: იაპონელები ძლიერ მხნედ იქცევიან, მაგრამ ერთ თვეზე ადრე მაინც ვერ აიღებენ პორტ-არტურს; იაპონელებს მუდამ მაშველი ჯარი მოსდით; გენ. სტესელი ყუმბარებს უფრთხილდება; პორტ-არტურის არსენალში ყუმბარებს ამზადებენ, მაგრამ ასაფეთქებელ მასალას-კი ვერა. გენ. სტესელი ჯარის-კაცებსაც უფრთხილდება, დიდ ბრძოლისათვის ინახავსო. („ნ. დ.“).

„ნოვი კრაი“ ასე აწერს პორტ-არტურთან 13, 14 და 15 ივლისს მომხდარ ბრძოლას: 13 ივლისს ნაშუადღევს იაპონიის არტილერიამ რუსებს ზარბაზანი დაუშინა. რუსის ჯარი 25 ვერსტის სიგძეზე იდგა; იაპონელებს უნდოდათ, გაეგოთ, რა ადგილებში, რა პოზიციებზე იდგნენ რუსები, მაგრამ რუსები თხრილებში ისხდნენ დამალულნი და იაპონელებს ხმა არ გასცეს. მეორე დღეს, 14 ივლისს, გათენების ხანს, იაპონელებმა უფრო ძლიერი ზარბაზნის სროლა ასტეხეს და საღამომდე აღარ შესწყვიტეს. ყველაზე ძლიერ იაპონელებმა თავად ჩხეიძისა და კაპიტან სკრიდლოვის ბატარეებს დააყარეს ყუმბარა; ამ ბატარეებს საზღვაო 12-დიუიმიანი ზარბაზნები ჰქონდათ. ყუმბარა სეტყვასავით ცვიოდა რუსის პოზიციებზე და სქდებოდა. ზოგიერთი ყუმბარა ბატარეის უკან რუსის ჯარსა ჰხვდებოდა და დიდ ზარალსაც აძლევდა. 15 ივლისს გათენების ხანს უფრო გამწვავებული ბრძოლა დაიწყო. მეტად საშინელი სიცხე იდგა. იაპონელებმა რუსის ჯარის მარჯვენა ფრთაზე, გენ. კონდრატენკოს რაზმს ზარბაზანი დაუშინეს, ყუმბარა წვიმასავით მოდიოდა და რუსების ბატარეებზე ხეობაში ცვიოდა. გენ. კონდრატენკომ იფიქრა, ალბად, იაპონელებს ჰგონიათ, რომ იქ, ხეობაში დიდი მაშველი ჯარი გვიდგასო. იაპონელები თან-და-თან უფრო კარგა უმიზნებდნენ და დიდ ზარალს აძლევდნენ რუსის ბატარეებს. ქვეითა ჯარის-კაცები თხრილებში ისხდნენ დამალულნი და ვერაფერ მონაწილეობას ვერ იღებდნენ არტილერიის ბრძოლაში. 10 საათმა რომ მოატანა, იაპონელებმა უცებ ერთბაშად დასცალეს ზარბაზნები. ეს შტურმის ნიშანი იყო. მართლაც იაპონელები იერიშით წამოვიდნენ რუსის პოზიციებზე. რუსის ბატარეებმა სროლა გააძლიერეს, რუსის ქვეითა ჯარმა თოფი დაუშინა იაპონელებს. იაპონელები მაინც არაფერს ყურს არ უგდებდნენ და ამ ყუმბარისა და ტყვიის ღრუბელს ქვეშ თავგანწირულად წინ მოდიოდნენ. ბრძოლის ველზე საშინელი ხმაურობა იდგა, ყველგან ყუმბარა სქდებოდა, ყველგან ტყვიის ზუზუნი ისმოდა. იაპონელები კარგა წინ წამოვიდნენ და უცებ შედგნენ, თითქო გაჭ ნებულ ცხენი შედგა ყალხზეო. რუსებმა ძლიერი „ურა„ შემოსძახეს... მაგრამ ა დროს გენ. სტესელისაგან კაცი მოვიდა, მარჯვენა ფრთაზე იაპონელებმა განგებ, მოსატყუებლად მოიტანეს იერიში, ნამდვილ იერიში-კი მარცხენა ფრთაზე, მგლის გორაზე („ვოლჩაია გორაზე“) მოაქვთო დ ამიტომ გენ. კონდრატენკო თავის შტაბი საჩქაროდ იქით წავიდესო. გენერალი თავის აფიცრებით საჩქაროდ მგლის გორისაკენ გაქანდა...

აქ „ნოვი კრაი“-ის წერილი სწყდება. როგორც ვიცით, იაპონელებმა იმ დღეს მგლი გორა მაინც აიღეს.

ჩინელებს ეთქვათ, იაპონელებს ამ ბრძოლის დროს 10 ათასი კაცი დააკლდა მოკლული და დაჭრილიო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრ თანამშრომელი სწერს: ის ცნობა, ვითომ პორტ-არტურთან 15 ივლისს იაპონელებ 10 ათასი კაცი დააკლდათო, მეტად გაზვიადებული უნდა იყოს. ასეთი დიდი ზარალ რომ მოჰსვლოდეთ, იაპონელები მეორ დღესვე იერიშს ველარ მიიტანდნენ პორტ-არტურზე. საზოგადოთ ჩინელები მხოლო სასიამოვნო ამბებს უამბობენ რუსებსა დ იაპონელებს. 10 ივლისს ჩინელებს ჩიფუშ ამბავი მიეტანათ პორტ-არტურიდან, გენ. სტესელმა თავი მოიკლა და რუსის ჯარ მალე დაჰნებდება იაპონელებსაო. („ნ. დ.“)

საზოგადოთ ცნობები იაპონელების ზარალის თაობაზე მეტად გაზვიადებულია. წარსულ ივლისის დამდეგს დეპეშამ გვაცნობა 28 ივნისს პორტ-არტურთან ბრძოლა მოხდა, რუსებმა იაპონელებს 30 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. ამის თაობაზე „რუსკი ვედომოსტ“-ის თანამშრომელი ბ. ს. კ სწერს: გენ. სტესელის ოფიციალურ მოხსენებაში არაფერი არაა ნათქვამი, რომ იაპ [illegible] ასეთი დიდი ზარა მოჰსვლოდეთ; მაშასადამე, ეხლა ნამდვ დამტკიცდა, რომ ეს ცნობა არაკი ყოფილა. ეს რომ მართალი ყოფილიყო, პორტ-არტურთან საქმე სულ სხვანაირად დატრიალდებოდა. ან რა დასაჯერებელი ეს ცნობა, როდესაც ისტორიაში ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ შტურმის დრო

ფელეტონი

სკოლა და ჰიგიენა

წერილი II *)

პირველს წერილში აღვნიშნეთ, სხვათა შორის ის, თუ რამდენად საჭიროა სუფთა ჰაერი სკოლაში. ბავშვის ორგანიზმში მოჟანგვის პროცესები (окислительные процессы) უფრო ძლიერად ჰხდება, ვიდრე მოზრდილის სხეულში, რის გამოც ნახშირის სიმჟავეს ბავშვები ბლომად ამოისუნთქვენ ხოლმე და ამიტომაც ჰაერი სკოლებში მეტის-მეტად ფუჭდება.

ამ აზრის სიმართლეს გამოკვლევა გვარწმუნებს. ოდესის პირველ დაწყებითი სკოლები შედარებით კარგადაა მოწყობილი, მაგრამ პროფესორმა გეროგომ გამოიკვლია ეს სკოლები და დარწმუნდა, რომ პირველ გაკვეთილის შემდეგ სკოლის ჰაერში ნახშირის სიმჟავემ იმატა ხუთჯერ, მეორე გაკვეთილის შემდეგ—შვიდჯერ და მესამე გაკვეთილის შემდეგ-კი ათჯერ. თუ ზემო ნათქვამს მივიღებთ მხედველობაში, საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს ის პირობები, რომელნიც ერთის მხრივ აფერხებენ სკოლაში ჰაერის სისუფთავეს და მეორეს მხრივ ხელს უწყობენ სკოლის ჰაერის გასუფთავებას და განახლებას. ბინის ჰაერის სისუფთავეს, მაშასადამე სკოლისასაც, ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სადგომის კედლებში პაწაწინა ჭუჭრუტანებიდან (поры),—რის დანახვა უბრალო თვალით შეუძლებელია,—ატმოსფერის სუფთა ჰაერი გარედან შინ შედის. ჰაერის ამ მოძრაობას ხელს უწყობს ქარი. რამდენადაც უფრო ცივია ატმოსფერის ჰაერი და თბილი ოთახისა, იმდენად უფრო გაძლიერებულად მოქმედებს ხსენებული მოძრაობა. თუ კედლები ნოტიოა, მაშინ კედლების პაწაწინა ჭუჭრუტანები წყლითაა სავსე და ჰაერის მოძრაობა შეუძლებელია. ხანდახან სკოლის ხის კედლებს სილამაზისა და სიმაგრის გულისთვის ზეთის საღებავით ღებვენ, რაც აგრეთვე აბრკოლებს სკოლის ჰაერის ბუნებით ვენტილიაციას. ამას მიხედვით ხსენებულ ორ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს. სკოლის ჰაერის სისუფთავის დაცვა ბევრით დამოკიდებულია სარკმელებზე (форка, форточки). ხშირად სარკმლებს ისე აკეთებენ, რომ სარკმლის კარი ტრიალებს გვერდით ღერძზე; ამნაირ სარკმელში ატმოსფერის ჰაერი გარედან შინ პირდაპირ შედის და რადგან ატმოსფერის ჰაერი უფრო ცივა და, მაშასადამე, უფრო მძიმეც, ამიტომ შესვლისათანავე ძირს დაეშვება ხოლმე ბავშვების თავზე, რასაც არ შეიძლება ვნება არ მოჰქონდეს. ამნაირ სარკმლებით სარგებლობა შეიძლება გაკვეთილს და გაკვეთილს შუა, ხოლო გაკვეთილების დროს ასეთი სარკმლები მავნებელია. ბევრად უკეთესია ისეთი სარკმელი, რომელიც ტრიალებს ჰორიზონტალურ ძირა ღერძზე. ამნაირ სარკმლებს უკეთებენ ყუსტის ფრთებს, ჰაერი რომ არ გაიფანტოს იქით-აქედ გვერდებზე და ზევით ჭერისკენ ისე გაეშუროს. უკანასკნელ შემთხვევაში ახალი ჰაერი გაიშლება, აირევა ოთახის თბილს ჰაერში და თანდათან ძირს დაეშვება. ამნაირ სარკმლით სარგებლობა, რა თქმა უნდა, გაკვეთილების დროსაც შეიძლება. სარკმლები რამდენადაც ბევრი იქნება, იმდენად უფრო სასურველია.

სკოლის ჰაერის სისუფთავე აგრეთვე დამოკიდებულია ხელოვნურ გასუფთავებაზე (искусственныя вентиляція). ნახშირის სიმჟავე შედარებით მძიმეა და ამიტომ უნდა გროვდებოდეს სახლში ძირს, რაც კიდევაც ასეა, მაგ; ღვინის სარდაფებში. სადგომებში-კი ამოსუნთქვით გამთბარი ჰაერი ზევით მიდის და ამიტომ ნახშირის სიმჟავეც მავნე ნარევებით ზევითკენ მიეშურება. საჭიროა ამ გაფუჭებულ ჰაერისაგან როგორმე ოთახის ჰაერის განთავისუფლება მაგ. ნახვრეტის შემწეობით, რის გაკეთება შეიძლება კედელში ან ჭერში საკვამლე მილთან.

რადგან ბინის გათბობაზე დამოკიდებულია ჰაერის სისუფთავე და ამასთან ზომიერი სითბო საჭიროა სხეულისათვის, ამიტომ ჰიგიენა ყურადღებოდ არც ოთახის გათბობასა სტოვებს. სკოლებში რკინის ფეჩებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამნაირი ფეჩი რამდენადაც მალე ხურდება, იმდენად მალევე გრილდება. სითბო ოთახის ჰაერში თანასწორად არა ვრცელდება, როდესაც რკინის ფეჩი წითლად ხურდება, მაშინ იმის ზედაპირზე ჰაერიდან მტვრის პაწაწინა ნაწილები იწვება, რის გამოც ოთახის ჰაერში ცუდი სუნი ვრცელდება. სკოლებში ამ ჟამად შემოღებულია ეგრედ წოდებული ჰოლანდიური ფეჩები. ხშირად ამ ფეჩებს სასურველად ვერ აკეთებენ და ამიტომ ოთახის ყველა ნაწილი თანასწორად არა თბება. ფეჩების გათბობა საღამოობით სჯობია. თუ სანათი საკმაოდ არ დაიწვა და მაშინ დაიხურა ფეჩის კარები, ამ შემთხვევაში შესაძლოა ნახშირის სუნი ფეჩიდან ოთახის ჰაერში გამოვიდეს და სხეულზე ცუდი გავლენა იქონიოს, მაგ. გააბრუოს, გაძლიერებულად გული ცემა დააწყებინოს, თავის ტკივილი აუტეხოს, გრძნობიერება დააკარგვინოს და ძილში ჩააგდოს. ნახშირის სუნით დათენთილმა თავისს დროზე თუ ვერ ისარგებლა სუფთა ჰაერით, შეიძლება წუთი-სოფელსაც გამოესალმოს. სკოლის ოთახში ფეჩი მოშორებული უნდა იყოს ბავშვებზე. ოთახის საკმაოდ გათბობისათვის საჭიროა ფეჩის ზედაპირი, რომელიც ოთახში გამოდის, საკმაო ზომისა იყოს, სახელდობრ, ზედაპირის ერთ-კვადრატულ ფუტზე უნდა მოდიოდეს ოთახის რაოდენობის 3-6 კუბ საჟენი; წინააღმდეგ შემთხვევაში ფეჩი, თუნდ სხვა მხრივ უნაკლულო იყოს, ოთახს საკმაოდ მაინც ვერ გაათბობს. ოთახის სითბოს მაჩვენებლად ტერმომეტრი უნდა იყოს და არა გრძნობა მასწავლებლისა, რადგან ჩასუქებულსა და ბევრ-სისხლიან მასწავლებელს გრილი ჰაერი მოსწონს, ხოლო ცოტათი სუსტს-კი უფრო თბილი. სკოლის ოთახის სითბო ზამთარში—14-15 გრადუსი უნდა იყოს (რეომიური) ხოლო ზაფხულში 19 გრადუსი.

ჰაერის სისუფთავისა და გათბობის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენისა და პედაგოგი მხრივ ოთახის ფორმასაც. სკოლის ოთახი უნ იყოს სწორკუთხიანი ფორმისა, სიგრძით ცოტა მეტი სიგანეზე. სკოლის კარგ ოთახად უნ ჩაითვალოს სიგრძით 14-15½ არშინიანი, სიგანით 10 არშ. და სიმაღლით 11 არშინ ოთახი. ამ ზომის ოთახში შეიძლება მოთავსდე 50-60 ბავშვი. სკოლის ოთახის ბავშვებით გატენა (მაგ. 70-100 მოსწავლით), აფუჭებს ს ნიტარულ პირობებს და მასწავლებელსაც ხელ უშლის თავის აზრის განსახორციელებლად.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სკოლის ოთახი მოსწავლეთა განსაზღვრულ რიცხვისათვის უნდა იყოს აგებული. ზომით არ უნდა იყოს მეტის მეტად დიდი, რადგან ამისთანა ოთახში მასწავლებლის ხმა გასაგებად არ ისმის, უკანასკნელ სკამებზე მოსწავლეებს უჭირთ სკოლის დაფაზე ნაწერის გარჩევა და საკმაო სინათლით ვერ სარგებლობენ ისინი, რომლებიც მოშორებით სხედ ფანჯრებიდან.

უმნიშვნელო არ იქნება, სკოლის იატაკის შ სახებაც ორიოდე სიტყვა ვთქვათ. სკოლაში იატაკის სივრცის ერთი მეტრი მაინც უნდა მოდიოდეს თვით ბავშვზე. თიხის იატაკი აკრძალულ უნდა იყოს. იატაკი მჭიდროდ მიკრულ გამხმა ფიცრებისაგან უნდა იყოს გაკეთებული და შეღებილი სელის (ЛЬНЯНАЯ) ან ზეთის (МАСЛЯНАЯ) საღებავით. ამნაირად გაკეთებულ იატაკს ჩა ჰაერი ქვევიდან ვერ შემოეპარება და გარდა ამი ადვილი გასაწმენდიც იქნება. კვირაში ორჯე მაინც უნდა გასუფთავდეს იატაკი სველის ნახერხით ან გაირეცხოს სველის ჩვრებით და არა მარტო მაშინ, როცა რევიზიას მოელიან, როგორც ახლა იციან ხშირად.

დორპატელი.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2555.

რომელსამე ჯარს ასეთი დიდი ზარალი მოჰსვლოდეს. ტყული უნდა იყოს ის ცნობაც, ვითომ იაპონელებს 15 ივნისს 10 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. ამდენი ჯარი რომ დაჰკლდებოდათ, ერთის დღის შემდეგ სერიშს ველარ მიიტანდნენ პორტ-არტურის იმაგრეებზეო. („რ. ვ.“).

იაპონელი და რუსის სალდათი. როგორაც ვიცით, რუსის ჯარს ბრძოლის დროს მეტად ბევრ აფიცერს უკლავენ და უჭრიან. ამის თაობაზე იაპონიის მთავარ შტაბის აფიცერს წერილი დაუწერია ერთს იაპონურ გაზეთში. იაპონელი აფიცერი ჰკითხულობს, რუსის ჯარს ბრძოლის დროს რად ეკარგება მეტი აფიცერი, ვიდრე იაპონიის ჯარს? ეს იმ მიზეზით ხდება, რომ რუსის აფიცრები ყოველთვის სალდათების წინ დგანან, იაპონელი აფიცრები-კი საფარს ეფარებიან. რადაა ასე; განა იაპონელი აფიცერი რუსის აფიცერზე მხდალია? სულაც არა. იაპონელი აფიცერი მამაცობაში რუსის აფიცერს არ ჩამოუვარდება; ეს სულ უბრალოდ აიხსნება. რუსის ჯარს სულ სხვანაირად სწრთვნიან, ჩვენსას სხვანაირად ჩვენი სალდათი დამოუკიდებელ ქცევასაა დაჩვეული. უფროსის ბძანებას თითონაც კარგად აასრულებს, ყურის გდება და ჩიჩინი აღარ სჭირია. იაპონელი აფიცერი, ბრძანებას რომ აძლევს უნტერ-აფიცრებს, დარწმუნებულია, რომ ეს ბრძანება კარგად, სწორედ იქნება ასრულებული, გინდა აფიცერი თავის ადგილიდან არც-კი დაიძრას. ყოველ იაპონელ სალდათს კარტონზე დახატული აქვს ის ადგილი, სადაც ბრძოლა უნდა მოხდეს. ყველას კომპასი აქვს მიცემული. ბევრს ბინოკლიცა აქვს. ყველამ წერა-კითხვა იცის. ამიტომ იაპონელი აფიცერი თავის თავს უფრთხილდება; მოვალეცაა გაუფრთხილდეს, რადგან აფიცრის სიკვდილი ცუდად მოქმედებს ჯარზე, გენერლის სიკვდილი ხომ გულს უტეხს და ურევს მთელ რაზმსა. ყველა იაპონელი სალდათი მოსაზრებით იბრძვის და კარგად ესმის, როგორ მოიქცეს და რა გაარიგოს. რუსის მამაცი სალდათი-კი ზედმიწევნით ასრულებს თავის უფროსის ბრძანებას, მაგრამ თითონ-კი არასოდეს არ ესმის, რისთვის ასრულებს ამ ბძანებას. ბრძანების გარდა სხვას არას ჰკითხულობს. მართალია ასეთი მორჩილება ძლიერ ძვირფასი თვისებაა, მაგრამ რუსის სალდათი მოსაზრებასა და მოფიქრებას არაა დაჩვეული და ამიტომ რუსის აფიცერი ძალა-უნებურად ყოველთვის სალდათების წინ უნდა იყოს, მაგალითი უჩვენოს, ყველაფერი ასწავლოს. ხომ იცით, ვინც წინა დგას, ბრძოლის დროსაც ყველაზე წინ იმას ჰხვდება ტყვია. („რ.“).

ახალი ამბავი

✦ დღეს, 4 აგვისტოს, ტფილისის **საბჭოს საგანგებო კრება მოჰხდება.** კრების წინ გადაიხდიან პარაკლისს მისის იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსეი ნიკოლოზის ძის დაბადების გამო.

✦ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის** გამგეობის მოსამსახურენი მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო რკინის გზის უფროსმა ორის დღით გაანთავისუფლა სამსახურიდან.

✦ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, 28 ივლისს უმაღლესის ბრძანებით **კავკასიის მთავარ-მართებელს უფლება მიეცა**, ნება დართოს ხოლმე კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს, დააჯარიმონ სასანიტარო წესების დამრღვეველნი 1903 წელს 11 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცებულ წესდების თანახმად. ამ წესდების მე-16 პარაგრაფის ძალით, დამნაშავეებს ან ჯარიმა გადახდებათ 300 მანეთამდე ან საპყრობილეში იქმნებიან დაპატიმრებულნი 3 თვემდე.

✦ როგორც „კავკაზ“-ს ატყობინებენ, **ფოთში შეუპყრიათ ის ავაზაკები**, რომელნიც ახალ-სენაკს მახლობლად დაეცნენ საპოსტო მატარებელს და წაიღეს 102,000 მანეთი. მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ ამ საქმის გამო მაშინვე დააპატიმრეს ფოსტალიონი და საფოსტო მოხელე. ეხლა შეუპყრიათ კიდევ ხუთი სხვა კაცი, რომელთაც აღმოსჩენიათ 22,500 მანეთი ქაღალდის ფული, სრულიად ახალი და უხმარი. თვით დაპატიმრებულნი ჯერ არ გამოტეხილან.

✦ 2 აგვისტოს მოხდა ტფილისის **სასანიტარო მზრუნველებისა და ექიმების კრება.** კრებაზე ხელ-ახლა ჩამოვარდა ლაპარაკი, ქუჩები და მოედნები რიგიანად არ იგვება და ირწყვებაო. კომისიის რწმუნებულმა თავ. არღუთინსკიმ განაცხადა, პოლიციას ხუთჯერ ვსთხოვეთ თვალ-ყური ადევნოს, რომ სავალდებულო დადგენილებანი არავინ დაარღვიოს და ეხლა აღარ ვიცით, რა ვქნათო. მაინც რაც შეეხება ქუჩების მორწყვას, ვეცდებით ორჯელ მაინც მოვარწყევინოთო. შემდეგ თავმჯდომარემ აცნობა კრებას შემდეგი: მზრუნველთა გადაწყვეტილების თანახმად, საგუბერნიო სასანიტარო კომისიას შევეკითხე, როგორ უნდა იმოქმედონ პოლიციამ და სასანიტარო სამზრუნველო დასებმა. საგუბერნიო კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ პოლიციას დამოუკიდებლად, თავის ნებით, არ შეუძლიან მოსთხოვოს მცხოვრებთ ამა თუ იმ ნაკლულევანების თავიდან აშორება; იგი ვალდებულია თვალ-ყურს ადევნებდეს, რომ რიგიანად ასრულებდნენ სავალდებულო დადგენილებებს და ეხმარებოდნენ სასანიტარო სამზრუნველო დასებს სასანიტარო კომისიის დადგენილებათა განხორციელების საქმეში. ამიტომ საგუბერნიო კომისიამ დაადგინა, სთხოვოს გუბერნატორს, რომ მან პოლიციას აცნობოს კომისიის ეს დადგენილება და დაავალოს პოლიციას, მხოლოდ დახმარება გაუწიოს სასანიტარო კომისიას. შემდეგ კრებამ ამოარჩია განსაკუთრებული კომისია და დაავალა, დაათვალიეროს ქალაქის ბაღები და წარუდგინოს თავისი მოსაზრება იქ სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

✦ ტფილისის **დედათა მესამე გიმნაზიაში** განმეორებითი ეგზამენები მოხდება 23-26 აგვისტოს, ხოლო მისაღები 25-27 აგვისტოს.

✦ სახაზინო პალატების ცნობებით, ამიერ-კავკასიის ქალაქებში უძრავ ქონებას ადევს **სახელმწიფო გადასახადი**—427,800 მანეთი, საერობო—382,800 მან. სულ ასეთი ქონება 119,479-ია, რომელიც დაფასებულია 220,980,000 მანეთად.

✦ **კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა**, საქარის სანერგეს გამგის ბ-ნ სტაროსელსკის მოხსენების თანახმად, დაადგინა, დამყნილ ამერიკულ ვაზის გასავრცელებლად ნაკლებ ფასად მიჰყიდოს ასეთი ვაზი ამხანაგობებს, საზოგადოებებს, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს და სხვა საზოგადო დაწესებულებებს. ამათ 10,000 ცალზე ღირებულობის 10%-ს დაუკლებენ.

✦ ტფილისის **დურგალთა ამხანაგობის მორიგი კრება**, 1 აგვისტოსთვის დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, და გადაიდო კვირას, 8 აგვისტოსათვის. კრება დანიშნულია ამხანაგობის ახალ ქარხანაში, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25. ხსენებულ ამხანაგობის საქმეები ამ ბოლო დროს კარგად მიდის. მომავალ კრებაზედ ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე წაიკითხავს მოხსენებას ამხანაგობის საქმეების გაუმჯობესების შესახებ. სასურველია, კრებას ყურადღებით მოექცეს ამხანაგობა.

✦ დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა ხელის მომწერლებს ჟურნალ **მოამბის** მე-VI №-რი შემდეგის შინაარსით:

1. ქედნის ღუღუნი — მელანიასი.—2. გლეხი კაცი თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა.—3. სამშობლო. — ოთხ მოქმედებიანი დრამა თარგმანი ოსმალურიდან სანჯაკ ბეგის შვილის აბაშიძისა.—4. თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი (დასასრული) მ. ჯანაშვილისა.—5. ცხოვრება და ღვაწლი თ-დის გრიგოლ ორბელიანისა, ი. მეუნარგიასი.—6. სახალხო სწავლა-განათლება დანიაში ნინო ზურაბიშვილისა.—7, ნარევი.—8. შინაური მიმოხილვა ფ. გოგიჩაიშვილისა.—9, უცხოეთის მიმოხილვა.—დამატება. დიდვნისქალაქის ამბავი ძველი საზღაპრო მოთხრობა, პროფესორის ხახანაშვილის წინა-სიტყვაობით.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა დაათვალიერა თავ. არღუთინსკო-დოლგორუკოვისა და ხერხეულიძის აბანოები და ხალათოვისა და სარქისოვის ტყავის ქარხნები, სადაც ბევრი ნაკლულევანებანი აღმოჩნდა. მზრუნველმა ეს ამბავი აცნობა გუშინ სასანიტარო კომისიის თავმჯდომარეს და სთხოვა, თუ სამი დღის განმავლობაში აღნიშნულ პირთ ეგედა ნაკლულევანებანი არ გაასწორეს, პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობა 2 აგვისტოდან შეუდგა 1905 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო განხილვას.

✦ ამას წინად წმ. ნინოს სასწავლებლის მსახური ნიკოლოზ კრასნობოროდსკის სახელმწიფო ფული გაატანეს ერთს ადგილს წასაღებად. მსახური ფულიანად სადღაც დაიმალა. 2 აგვისტოს პოლიციის მეორე ნაწილში კრასნობოროდსკი დააპატიმრეს. დამნაშავე გამოტყდა და განაცხადა, ფული დუქნებში ბანქოს თამაშის დროს წავაგეო.

✦ სოფ. ქვემო ავჭალაში ინჟენერ ბასტამოვის სადგომიდან ვიღაც ქურდებს მოუპარავთ 150 მანეთი ფულად. ეჭვი მიუტანია ორ გლეხზე, რომელნიც ტფილისის მაზრის უფროსს წარუდგინეს 2 აგვისტოს. გლეხებს მართალია ზედ ფული აღმოაჩნდათ' მაგრამ ამბობენ, რომ ეს ფული თივის გაყიდვიდან დაგვრჩაო.

2 აგვისტოს ტფილისის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიამ დაადგინა, წინადადება მისცეს ბელგიის უსახელო საზოგადოებას, რომ ქალაქის ქუჩები, სადაც კი რკინები და ქვები უყრია საზოგადოებას, 7 დღის განმავლობაში გაასუფთაოს.

რუსეთის ქრონიკა

✦ „ირკ. გუბ. ვედ.“-ში სწერია, რომ გასული სამოსწავლო წელი მძიმედ დაეტყო ირკუტსკის პირველ დაწყებითი სასწავლებლებს, რადგან ამ სასწავლებელთა შენობებში ჯარი დააყენეს და სწავლება გააუქმეს. ამ ჟამად ირკუტსკის ქალაქის საბჭო შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ გაყვანილ იქნას სასკოლო შენობებიდან ჯარი, რადგან ისედაც სუსტად განვითარებულ პირველ დაწყებულ სწავლებას სრულებით ბოლო მოეღებაო.

✦ გაზ. „პრავო“ იუწყება, რომ ქ. არხანგელსკის სასამართლოს განუხილავს საყურადღებო საქმე ჩერნიაკისა და დრეერის შესახებ, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ გადასახლებულნი არხანგელსკის გუბერნიაში და თავის ნებით დასტოვეს მათთვის საცხოვრებლად დანიშნული ადგილი. საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ჩერნიაკი და დრეერი ჯერ ქ. მეზენში მოუყვანიათ, სადაც ამ უკანასკნელთ უთხოვიათ მაზრის უფროსისათვის, ნება მოგვეცით ამ ქალაქში დავრჩეთ, სანამ სახაზინო შემწეობას მივიღებდეთო. მაზრის უფროსმა უპასუხა, თქვენთვის საცხოვრებლად დანიშნულ ს. ნესში რომ მიხვალთ, შემწეობას იქ მიიღებთო. როცა გადასახლებულნი ნესს მივიდნენ, შეიტყეს, რომ არავითარი განკარგულება არ გაუგზავნიათ იქ მათი შემწეობის შესახებ და რომ ამ სოფელში საშინლად მძვინვარებს ათაშანგი. ჩერნიაკსა და დრეერს რამდენიმე გროში ჰქონდათ და იმით ირჩენდნენ თავს სამი დღის განმავლობაში: ერთი გლეხის სახლში დადგნენ და მეზობლისას რძეს ყიდულობდნენ, სანამ არ შეიტყეს, რომ მეზობლის მთელ ოჯახს ათაშანგი სჭირს. გადასახლებულნი შეშინდნენ,— ჩვენც არ გადაგვედოს ათაშანგიო—მიატოვეს სოფელი და უგროშ-კაპეიკოდ გაუდგნენ გზას ქ. მეზენისკენ, 100 ვერსის მანძილზე. მეზენში რომ მოვიდნენ, წარუდგნენ მაზრის ექიმს, უამბეს როგორ მოდებულია ს. ნისში ათაშანგი და შემდეგ მაზრის უფროსთან წავიდნენ, რომელმაც დაუყოვნებლივ დააპატიმრა ორივე მათთვის საცხოვრებლად დანიშნულ ადგილის დატოვებისათვის. ეს საქმე სასამართლოს გადაეცა, რომელმაც გაამართლა ორივე ბრალდებული.

✦ ირინეს რკინის გზის უფროსს გამოუცია შემდეგი შესანიშნავი ბრძანება: „ამ ბოლო დროს ჩემდამი რწმუნებულ რკინის გზაზე ერთმა მემანქანემ უწესოება მოახდინა. ორთქმავალი რომ მიჰყავდა, დაინახა ლიანდაგზე ცხენი, რომელიც, როცა ორთქლმავალი მიუახლოვდა, ლიანდაგზე გაქანდა. მემანქანეს შეეძლო გაეჩერებინა ორთქლმავალი, მაგრამ სეირის საყურებლად განგებ აუჩქარებია: აბა თუ დავეწევი გაქცეულ ცხენსაო. დაეწია საბრალო პირუტყვს, დაეჯახა, ორივე უკანა ფეხი გადაუმტვრია და გადააგდო იქვე ხრამში. აღვნიშნავ ამ სამწუხარო შემთხვევას, უვიც ადამიანის მიერ ჩადენილს, რომელმაც თავის სიამოვნების გულისთვის მოუკლა ერთად ერთი ცხენი და მარჩენალი ღარიბ გლეხს. ეს გლეხი გამგეობაში მოვიდა და შემწეობა მივეცით. უვიცი მემანქანე უნდა გადაყენებულ იქნას სამსახურიდან.“

✦ ხერსონის მაზრის ქ. ნოვო-მიხაილოვკაში ერობას საკრედიტო ამხანაგობის დაარსება განუზრახავს და შემდეგი შეკითხვა მიუღია სახელმწიფო ბანკის ქ. ნიკოლაევის განყოფილებიდან: „წინააღმდეგი ხართ თუ არა იმისა, რომ საკრედიტო ამხანაგობის წესდებაში შეტანილ იქმნან შემდეგი ახალი მუხლები: 1) ებრაელ წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მთელ წევრთა რიცხვის მესამედს; 2) გამგეობისა და საბჭოს თავმჯდომარეებად ებრაელებს არ აირჩევენ.

✦ მოსკოვში გაკოტრდა საბანკირო კანტორა კ. ვ. ოსიპოვისა. ვალი 4 მილიონი და 700 ათასი მანეთია, კანტორის მთელი ქონება და ფული კი 3 მილიონ მანათისაა. ერთს მოვალეს, რომლის 1 მილიონი მან. ჰმართებია კანტორას, ხელი აუღია თავის ფულზე, ოღონდ სხვა წვრილი მოვალეები სავსებით დააკმაყოფილეთო.

✦ ამურის მხარის გენერალ-გუბერნატორი აცხადებს, 1 ენკენისთვიდან ისევ წინანდელივით დაიწყება სწავლა ვლადივასტოკის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტშიო.

✦ გამოცხადებულ ცნობებით, ევროპის რუსეთიდან 1885—1902 წლამდე სულ 1 მილიონი და 300 ათასი კაცი გადასახლებულა ციმბირსა და კავკასიაში.

✦ ფინანსთა სამინისტროში ამ მოკლე ხანში უნდა შესდგეს კომისსია, რომელიც საბოლოოდ განიხილავს პროექტს კერძო კანტორებსა და სავაჭრო სახლებში მოსამსახურეთა შრომის განწესრიგების შესახებ.

თეატრი

ს. წესი (რაჭა). 20 ივლისს აქაურ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ხიდის კარში თ. აკაკი წერეთლის დრამა „პატარა კახი“. წარმოდგენას ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო. ათი ვერსის სიშორიდან მოსულიყვნენ მაყურებლები, მაგრამ, უადგილობისა გამო, გულდაწყვეტილნი უკანვე ბრუნდებოდნენ. წარმოდგენა ყველას მოეწონა. მოთამაშენი მრავალჯერ იქნენ დაჯილდოვებულნი ვაშას ძახილით და ტაშის დაკვრით. წარმოდგენა გათავდა პირველ საათზე და ხალხი ნასიამოვნები დაბრუნდა შინ. გზაში გლეხებმა მიამბეს: ნეტავი ხშირად გაიმართებოდეს ასეთი წარმოდგენა, ჩვენ არც ერთხელ არ დავაკლდებითო.

ვ. ჭიჭინაძე.

ს. ქვემო-ხვითი (ქართლი). 25 ივლისს აქ ადგილობრივმა ახალგაზდობამ, როგორც იყო, მოახერხა და გამართა ხალხისათვის წარმოდგენა. დადგეს ერთ-მოქმედებიანი პიესა „დატრიალდა ჯარა“. როლები კარგად ჰქონდათ შესწავლილი და პიესამ მწყობრად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ დადგეს ცოცხალი სურათები. პატარა მომღერალთა გუნდმა მწყობრად შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. ყველაზე მეტად დამსწრეთ ცოცხალი სურათები მოეწონათ. წარმოდგენას გლეხ-კაცობა კარგა ბლომად დაესწრო, მხოლოდ მიუჩვეველი ამ გვარ გასართობს, ძალიან ხმაურობდა. მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც კი რაიმე მონაწილეობა მიიღო ამ წარმოდგენის გამართვაში. სასურველია, აქაურმა ახალგაზდობამ შემდეგშიაც მხნეობა გამოიჩინოს და შეაჩვიოს ხალხი გონივრულ გასართობებს.

აქაური.

წერილები

ს. უშაფათი (სამეგრელო). ჩვენი სოფელი მდებარეობს ოცდახუთი ვერსის მანძილზე ახალ-სენაკიდან. მიწა საზოგადოდ აქ ნაკლებ მოსავლიანია. ამ ბოლო წლებში-კი ცუდი დარების მეოხებით სიმინდი სულ ნაკლებად მოდის. შარშან მოსავალი იმდენად ნაკლები იყო, რომ წელს ყველანი ყიდულობენ სიმინდს. მაგრამ სასყიდლადაც ვერ ვშოულობთ. ახლა ჩვენში გაჩაღებული მუშაობაა. სოფლის კაცმა უნდა დაავდოს თოხი, იაროს მთელი დღე, რომ მიაგნოს გასასყიდ სიმინდს. როდესაც სიმინდის ფასი სამ აბაზამდი ადიოდა, დიდ სიძვირედ სთვლიდნენ. ახლა-კი ექვსი აბაზია. ჩვენი უბედურობა ის არის, რომ შემდეგისთვისაც მოსავალს მეტად სუსტი პირი უჩანს: სულ წვიმებმა გააფუჭა მოსავალი. ჩვენს სოფელში არსებობს ორი ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა. ისინი ახლო არიან ერთმანეთთან. თითოს ხაზინა წლიურად აძლევს ოც-ოც თუმანს. ურიგო არ იქნება, ეს ორი სკოლა შეერთდეს და ერთი ორ-კლასიანი სკოლა დაარსდეს.

სოკ. ძიმისტარიშვილი.

ლეჩხუმი. არ გამოჩნდა კაცი, ლაჯანის მცხოვრებნი დაარწმუნოს, რომ აბრეშუმის ჭიას არავითარი მავნებლობა და ჰერის ცვალებადობა არ შეუძლიან. ეს მეხუთე წელიწადია, რაც სოფ. ლაჯანას აბრეშუმის ჭია გაჩნდა, რომელსაც თან დაჰყვა სოფლის მიერ წყევა და სიძულვილი. აქამდის ამბობდნენ, სეტყვა და ნიაღვარი იცისო, ეხლა ნუ იტყვით, ლაჯანლების წარმოდგენით, გვალვაც აბრეშუმის ჭიის ნაყოფი ყოფილა. ბევრმა ჯიბრზე ბჟოლის ხეები დასჭრა თავის ადგილებში, რადგან, იმათ უცნაურის ფანტაზიით, რაც ადგილიდან ბჟოლის ფოთოლი აბრეშუმის ჭიის საჭმელად გავა, ის ადგილი ყანად აღარ ივარგებსო. ამის გამო ვაი-ვაგლახით ვშოულობდით წელს თუთის ფოთოლს. წელს აქეთ

მოსავალს კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით, თუ აწი არ გადაჰკრა ჰაერმა. მაგრამ კარგ მოსავლის დროს ხალხი დიდ გაჭირვებაშია. ხალხს არა ჰყოფნის ადგილი და სცდილობს შორს შეუვალ ტყიან ალაგებში ახოების კეთებას. ლეჩხუმში კარგ მოსახლე გლეხს ეძახიან ისეთ, რომელსაც იმდენი სარჩო მოუვა, რომ ყიდვა არ დასჭირდება. აქ ბევრ სოფლებში სჩივიან, ჭირმა სულ მუსრი გაავლო ღორსაო.

ლაჯანელი ბანოვანი.

ს. ლესიჭინე (სამეგრელო). ჩვენ ახლო-მახლო სოფლებში შიმშილობაა. ფუთი სიმინდი, დამპალი და ჩრჩილიანი, ერთი მანეთია და ამ ფასადაც ვერ შოულობენ სასყიდლად. თუ ვისმეს გასასყიდი სიმინდი ჰქონდა, იანვარს და თებერვალში გაჰყიდა. ეგონათ, შეიძლება ომის გამო შავი ზღვით სიმინდის გატანა აკრძალონ, სიმინდი შეგვრჩეს, მაშინ შარშანდელსავით, ზაფხულში სიმინდს ჩრჩილი გაგვინადგურებსო. ვისაც სიმინდი გაუყიდველი დარჩა, დღეს ხალხის გაჭირვებით სარგებლობს და მამა სისხლად ჰყიდის. რა ზომითაც უნდა, იმ ზომით აძლევს. სოფ. გაშფერდში არიან ვაჭბატონები, რომელთაც რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი აქვთ გასასყიდი; დღე არ იქმნება ისე, რომ ორმოცი-სამოცი მყიდველი არ მოვიდეს, არა ჰყიდით, ეუბნებიან. დრო არა მაქვსო, უპასუხებენ, ბე მაინც დაიტოვეთ, როცა დრო გექნებათ, მაშინ მომყიდითო, მაგრამ ბესაც არ ართმევენ. უცდიან, ხალხი უფრო მეტ გაჭირვებაში ჩავარდება და მაშინ ჰყიდიან. სოფ. ხეთაში, ერთი წვრილ-შვილის პატრონს სიმინდი სასყიდლათ ვერ უშოვნია, ბაღნების შიმშილი ვერ მოუთმენია და თავი მოუკლავს. ჩვენი ხალხი პურს შეჩვეული არ არის, თვითონ რომ ჭამოს, შინაური ფრინველი და პირუტყვი რით გამოჰკვებოს? ამისთანა გაჭირვების დროს მოხელენი კარზე გვადგებიან და ფულსა გვთხოვენ, მოწერილობა გვაქვსო. საჭიროა გადასახადები გადაიოს შემდეგ წლებისათვის. 15 ივლისის შემდეგ ამინდი მარტივით იცვლება; თითქმის ყოველ დღეს ორ-სამ საათს წვიმს და მერე ისევ ცხელა. ამისთანა ცვლილებამ ჭირნახულზე ცუდად იმოქმედა. ყანა გაუთოხარი დარჩა, ბალახი და სიმინდი ერთმანეთში აირია. ჩვენი სოფელი ზუგდიდის მაზრას ეკუთვნის, მაგრამ თუ სასამართლოში საქმე არ გვექმნება, ისე ზუგდიდში არ მივდივართ. ყველაფრით დაბა ახალსენაკი გვეხერხება, ყოველ სანოვაგეს იქ ვყიდით და ვყიდულობთ, თუმცა გზა ახალსენაკისაკენ საძაგელია. მთავრობამ გზის გაყვანა კიდევაც დაამტკიცა აგერ მეხუთე წელიწადია, მაგრამ თვით გზას არაფერი ეშველა. ამ გზით მიმოსვლა იმდენად გასაჭირია, რომ ახალსენაკში სიმინდი რომ სამ აბაზად იყიდებოდეს, ჩვენში მანეთად უნდა გაიყიდოს. ჩვენი სოფელი 400 მოსახლისაგან შესდგება. გვაქვს ორი სკოლა, სამინისტრო და სამრევლო. პირველი უფრო კარგად არის მოწყობილი, მაგრამ ხალხი მეორეს უფრო ეტანება. რატომ სამინისტროში არა გზავნი ყმაწვილს, იქ უფრო ბევრია ადგილი? ვკითხავ ხოლმე გლეხს. სამინისტრო სასწავლებელში მარტო რუსულს ასწავლიანო; ჩემი შვილი სამ-წელიწადში იმდენ რუსულს ვერ სწავლობს, რომ რამეში გამოიყენოს, მე-კი იმდენი შეძლება არა მაქვს, რომ შვილს სწავლა გავაგრძელებინო; რაც სამ წელიწადში უზეპირებია, მალე ავიწყდება სამრევლოში-კი ქართულს ასწავლიანო. ქურდობა თან-და-თან უფრო ვრცელდება. უფრო გულ-საკლავი ისაა, რომ ვინც მოგპარა იცი, მაგრამ ვერაფერს ვერ უშვრები. მიდიხარ ქურდთან, შენის საქონლის ნახევარ ფასს აძლევ და ამრიგად შენს საქონლის შენვე ყიდულობ. არ იცი, როგორ უნდა მოიქცე, რომ ხვალაც ასეთი ამბავი არ დაგემართოს. რომ ხმა ამოიღე, ქურდი შენთან მოდის, გემუქრება: გადაგწვავ, ყველაფერს მოგპარავ და ბოლოს შენც მოგკლავო.

პ. დგებუაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა დროშები აღმოსავლეთ-ციმბირის საპიროთ მეხუთე და მეექვსე ბატალიონებს.

წითელ ჯვრის საზოგადოების მთავარ-რწმუნებულების თხოვნით და აგრეთვე იმის გამო, რომ ბრძოლის ველზე მყოფი ექიმები და სტუდენტი-ექიმები მეტად მოიქანცნენ და ახლების გამოგზავნაა საჭირო, ამიტომ აღმასრულებელი კომისია იწვევს ექიმ-ხირურგებს, რომელთაც ჰსურთ ომში წასვლა, გამოგზავნონ განცხადებანი და სრული თავიანთი ადრესები და წინანდელ მოღვაწეობის მოკლე აღწერილობა, სამსახურში იწვევენ აგრეთვე უკანასკნელის სამი კურსების სტუდენტ-ექიმებს, რომელთაც აგრეთვე სთხოვენ კეთილ-ინებონ და გამოგზავნონ განცხადებანი აღმასრულებელს კომისიაში.

ლიაოიანი. („რეიტ. სააგ.“). ჩინელთა ცნობებით, გენ. კუროპატკინს 400 ათასი ჯარის კაცი ჰყავს. ორივე მხრით ზარალი მეტად დიდია.—დალნიდან მიღებულ ცნობებით, იაპონელებს გემის „რეშიტელნი“-ს წაყვანის დროს ერთი კაცი მოუკლეს და 15 დაუჭრეს.—იაპონელები ამაგრებენ პოზიციებს ხაიჩენთან. ლიაოხეს დასავლეთით იაპონელები არ აღმოჩენილან.—წვიმების გამო ხევებში ჯარების მოძრაობა მეტად გაძნელდა; მრთელი ეს მიდამო თვალ უწვდენელ ჭაობად გადაიქცა.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). რუსის სამ საკვამლიანი გემი, ალბად „პეტერბურგ“-ი, შევიდა ნავთსადგურ ხადდეიტაში სურსათის წამოსაღებად, მაგრამ ოსმალეთის მოხელეებმა უარი უთხრეს სურსათის მიცემაზე. შემდეგ გემები წავიდნენ კამარანში, სადაც აგრეთვე უარი უთხრეს.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). 2 აგვისტოს, მოსული ჯონკები ამბობენ: „როცა 30 ივლისს პორტ-არტური დავსტოვეთ, ზარბაზნების სროლა ჯერ არ შეწყვეტილიყო, თუმცა დრო გამოშვებით კიისროდნენ, რაიც ნიშნავს, რომ იაპონელები იერიშით მივიდნენ ციხეებზე“. ჯონკებით მოსულნი ამბობენ, იაპონიის ფლოტის უფროსმა წინდა წინ აცნობა რუსებს, თუ გემები ნავთსადგურში დაბრუნდებიან, ციხეს ლიდიტით გატენილ ყუმბარებს დავუშენთო.

ცინდაო. („რეიტ. სააგ.“). კონტრ-ადმირალი მატუსევიჩი დაჭრილია თავში და ფეხში. იმას გაუკეთეს ოპერაცია ცინდაოს საავადმყოფოში. ოპერაცია კარგად დასრულდა და საშიშარი აღარაფერია.—ჯავშნიანი გემი „ცესარევიჩ“-ი და სამი კონტრ-ნაღმიანი გემი გერმანიის მოხელეებს გადაეცათ შესაკეთებლად. ეს გემები აღარ მიიღებენ ომში მონაწილეობას. გუბერნატორი წავიდა „ცესარევიჩ“-ზე, რათა შეატყობინოს გემის უფროსს, საჭიროა რუსეთის დროშა ჩამოუშვათ და გემის შეკეთების დროს აღარ ამართოთ. დროშა ჩამოუშვეს ჩვეულებრივის ცერემონიალით. გუბერნატორმა დაათვალიერა კონტრ-ნაღმიანი გემები, რომლებზედაც დროშები ჩამოშვებულია. ირწმუნებიან, რუსის გემები იძულებულნი იქმნებიან საბოლოოდ აიყარონ იარაღი. რადგან ნავთ-სადგურის გარედ მათზე ბევრად უფრო მძლავრი იაპონელთა გემები დგანან, რუსები იძულებულნი იქმნებიან თითო-თითოდ გამოვიდნენ ნავთ-სადგურიდან ყოველ 6 საათის შემდეგ. ჰფიქრობენ, რომ „დიანა“-მ და „პალადა“-მ მიაღწიეს ვლადივოსტოკსაო.

ნაგასაკი. („რეიტ. სააგ.“). სასებოში მივიდა გემი-საავადმყოფო „ეკიომარუ“ იაპონელთა ფლოტის 77 დაჭრილ აფიცრებითა და სალდათებით; მათ რიცხვში პრინცი კაჩო.

3 აგვისტო

პეტერბურგი. დღეს „რუსკოე სობრანიე“-ში, მრავალ წევრის თანდასწრებით, გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ტახტის მემკვიდრის დაბადების გამო. წირვის შემდეგ თავმჯდომარის ამხანაგმა ტაიძი სოვეტნიკმა მიულოცა შეკრებილთ ღვთის-მიერ სამეფო ოჯახში მოვლენილი დიდი სიხარული. ამასთან აღნიშნა, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებით ღმერთმა აკურთხა ის ძველად შემოღებული რუსთა წეს-რიგი, რომელსაც „რუსკოე სობრანიე“ იცავსო.

ელისავეტგრადი. საბირჟო საზოგადოება მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად აარსებს საკომერციო სასწავლებელს ყველა წოდებისათვის.

სტამბოლი. 31 ივლისს, სადამოთი, პორტა დასთანხმდა ამერიკის მოთხოვნილებას და დღეს ამერიკის ესკადრამ ბრძანება მიიღო სმირნიდან წავიდეს.

ცეტინიე. რუსეთის წარმომადგენელის განკარგულებით გადახდილ იქმნა პარაკლისი მემკვიდრის დაბადების გამო. დაესწრნენ: მთავრის მეუღლე, ჩერნოგორიის მემკვიდრე, მანისტრები, სადიპლომატო კორპუსი და აუარებელი ხალხი. სადამოთი დიდძალმა ხალხმა მემკვიდრის მეთაურობით მუსიკით ქუჩები გაიარა და რუსის საელჩოს შენობასთან მივიდა. უკან დაბრუნებისას მთავრის სასახლესთან მთავარმა ხალხს სიტყვა უთხრა. ხალხი დიდ აღტაცებაში მოვიდა.

მოსკოვი. ხელოსანთა საზოგადოება, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად, აარსებს სახელოსნო სასწავლებელს. ამას გარდა დაადგინა, ეპატიოთ ხელოსანთ დარჩენილ გადასახადის 100 ათასი მან. საბირჟო საზოგადოებამ დაადგინა, დააწესოს თავის სავაჭრო სკოლაში 50 სტიპენდია მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზე.

3 აგვისტო

პეტერბურგი. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და მემკვიდრე ცესარევიჩმა დიდმა მთავარმა ალექსი ნიკოლოზის ძემ გასული დღე კარგათ გაატარეს ძილი, მადა და ტემპერატურა კარგი აქვთ.—დანიშნულნი არიან: ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი, ინფანტერიის გენერალი გრიპპენბერგი, პეტერბურგის ქალაქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ფულლონი, მისი დიდებულების კარის შტალმეისტერი გენერალ-ლეიტენანტი ფონ-გრანვალდი, დონის ჯარის ნაკაზნოი ატამანი გენერალ-ლეიტენანტი მაქსიმოვიჩი და ვილნოს, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი—ხუთნივე გენერალ-ადიუტანტებად მის უდიდებულესობასთან და თანაც თავიანთ თანამდებობაში რჩებიან. ლეიბ-გვარდიის იზმაილოვის პოლკის უფროსი გენერალ-მაიორი ჭორეცკი დაინიშნა მისი უდიდებულესობის ამალაში. მისი უმაღლესობის გენერალ მაიორი თავადი გიორგი მაქსიმილიანის ძე რომანოვსკი, ჰერცოგი ლიხტენბერგისა, მისი უდიდებულესობის ამალაში. ლეიბ-გვარდიის სემიონოვის პოლკის კაპიტანი ცვეცინსკი—ფლიგელ-ადიუტანტათ მის უდიდებულესობასთან.

კიევი. 2 აგვისტოს საგანგებო კრებაზე საბჭომ დაადგინა სასიხარულო ამბის აღსანიშნავად დააარსოს პირველი 4 კლასიანი საქალაქო სასწავლებელი ცესარევიჩის ალექსის სახელობაზე, გახსნას საბავშვო ბაღი, აპატიოს მცხოვრებლებს დარჩენილი საქალაქო გადასახადი და დაურიგოს ღარიბებს ათასი მანეთი.—კიევ-პოლტავის რკინის გზით მოვიდა ცხენების მომშენებელ სახელმწიფო უწყების გამგე დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე და $7^1/_2$ საათზე განაგრძო გზა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

მორიგი კრება

დანიშნულია კვირისათვის, 8 აგვისტოსათვის, დილის 9 საათზე ამხანაგობის ახალ ქარხანაში ელისაბედის ქუჩაზე სახლ. „ვერსალ“-ის ახლო სახლი № 25.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1904 წ. პირველ ნახევრის ანგარიშების.

2) მოხსენება გამგეობისა ამხანაგობის საქმეების გაუმჯობესობის გამო.

3) განხილვა წევრთაგან წარმოდგენილ განცხადებათა და

4) ახალ წევრთა არჩევანი.

ეს კრება მეორედ ინიშნება და ამხანაგობის წესდების 41 მუხლის ძალით, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ, მაინც შესდგება და ყოველ გვარი გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება არ დამსწრე წევრთათვისაც. (2—1)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი ა. [illegible]ვისა, № 92, საზაფხულო ს. ბრაუნის ახლოს. (წ.—176—71)



ევალდ იანკოვსკი

კაფელის ფეჩები, ღუმელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის. ფასები 25 მანეთიდან.

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—18) ტელეფონი № 281.

ამხანაგობა

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა

პეტერბურგში

დაარსებული 1860 წელს.

ვსთხოვთ მყიდველთ! **რეზინის კალოშებისა** ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:



1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ წითელ სამკუთხედში (ფაბრიკის ნიშანი). (60—1)